შპს „ბაჯო“

ს/კ 212671107. ქ.ქუთაისი ფარნავაზ მეფის ქ. N10 ტელ. 5 58 00 05 11

„—08--„----ნოემბერი------„ 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „ბაჯო“-ს ქ.ქუთაისში, ლესელიძის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული აქვს ტყავის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე და ექსპლუატაციაზე, 03.11.2017 წლის N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მიღებული აქვს 2020 წლის 02 სექტემბრის N2-783 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ექსპლუატაციაში შესვლის პროცესმა აჩვენა, რომ სათადარიგო ჩარხდანადგარების გარეშე (გამლეში დაზგა, გამთლელი დაზგა, ნახევრად შრობის დაზგა, დამარბილებელი დაზგა) ტექნოლოგიური პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს, რაც იწვევს ნედლეულის გაფუჭებას. შედეგად საწარმო ვერ უზრუნველყოფს ბიზნესგეგმით განსაზღვრული პარამეტრების მიღწევასა და ხარისხიანი პროდუქციის მიღებას. აღნიშნული მიზეზების გამო საწარმომ ვერ შეძლო ექსპლუატაციის გაგრძელება. ზემოაღნიშნულის გამო დაიგეგმა საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილება.

კომპანიამ საწარმოს გადაიარაღების პირობებში ბინესგეგმის შედგენისა და ხარჯ-სარგებლის ანალიზის მიზნით დამატებით მოახდინა ბაზრის კვლევა, რის შედეგადაც გამოიკვეთა წარმადობის გაზდრის საჭიროება.

გაირკვა რომ მოთხოვნადია როგორც მზა, კონდიცირებული ტყავი, ასევე ტყავის ნახევარფაბრიკატი. საწარმოს ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამონდინარე შესაძლებელია 120 ტ. ნედლი ტყავის გადამუშავება, რომლის შემდეგაც საწარმო გამოუშვებს 70 ტონა ტყავის ნახევარფაბრიკატს და 40 ტონა მზა ტყავის ნედლეულს.

რადგან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, ამასთან მიგვაჩნია რომ დაგეგმილი საქმიანობისათვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 19907
08.11.2021
2/ СР
02

აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებულ სკოპინგის ანგარიშს.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი: სკოპინგის ანგარიში და ანგარიშის ელ. ვერსია;

shp ფაილები.

პატივისცემით
ოთარ გრძელიშვილი
დირექტორი